



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000083460854221

№ 01-395-A

05 / ნოემბერი / 2021 წ.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#### საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემისა და პროაქტიული გამოქვეყნებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 27-ე მუხლის „ვ“ და „ლ“ პუნქტების, 28-ე და 36-ე მუხლების, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 57-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მე-5 მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

- 1.საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის მატერიალური და ელექტრონული ფორმით გაცემაზე, ასევე მის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს რექტორის თანამემწე ნინო ქუთელია.
- 2.საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის მატერიალური და ელექტრონული ფორმით გაცემაზე, ასევე მის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.
- 3.პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის კონსერვატორიის ელექტრონულ რესურსზე ელექტრონული სახით ატვირთვაზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს ამ ბრძანების N1 დანართით განსაზღვრული პირების მიერ მიწოდებული გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ატვირთვის სისრულის უზრუნველყოფა.
- 4.წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართის შესაბამისად განსაზღვრული პირები მიმდინარე წლის 26 დეკემბრამდე, ასევე საჭიროებისამებრ, შესაბამისი ცვლილებიდან არაუგვიანეს 20 დღისა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს აწვდიან დანართით განსაზღვრულ ინფორმაციას პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით და პასუხისმგებელი არიან ამ ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.
- 5.კონსერვატორიის ელექტრონულ რესურსზე, ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული ნუსხით განსაზღვრული ინფორმაციის ატვირთვა დაევალოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ვებ-გვერდის განახლების სპეციალისტს, მარიამ ყარალაშვილს, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის მატერიალური და ელექტრონული ფორმით გაცემაზე, ასევე მის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის მონაწილეობით.


6. წინამდებარე ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს;

7. დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს წინამდებარე ბრძანების გადაცემა დაინტერესებულ პირთათვის;

8. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge);

9. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

ნიკოლოზ თოიძე